

## B ჰეპათიტი და ორსული!

- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, 350 მილიონზე მეტი ადამიანი B ვირუსის მტარებელია.
- ყველა განვითარებულ ქვეყანაში ორსულთა გამოკვლევა B ჰეპატიტზე პროფილაქტიკური გამოკვლევების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.
- გამოკვლევის ჩატარებისთვის რეკომენდირებული დროა:
  - ორსულობის 32-ე კვირიდან;
  - მაღალი რისკის მქონე ორსულებში B ჰეპატიტზე გამოკვლევა მშობიარობის ნინა პერიოდში უნდა განმეორდეს.

## დაავადების რა რისკი აქვს B ჰეპათიტის ვირუსის მტარებელი დადის შვილს?

- გახსოვდეთ, ვირუსმტარებელი ქალის ყოველი მესამე ბავშვი ავადდება B ჰეპატიტით.
- B ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულ ახალშობილთა 90-95%-ში დაავადება ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს.
- B ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულ ახალშობილთა 10-30% 10-30 წლის განმავლობაში ღვიძლის ციროზით ან ღვიძლის კიბოთი კვდება.

## როგორ დავიცვათ B ჰეპათიტის ვირუსის მტარებელი დადის ახალშობილი?

- B ჰეპატიტის ვირუსის მტარებელი დედის ახალშობილი დაბადებისთანავე (პირველი 12 საათის განმავლობაში) უნდა აიცრას, როგორც აქტიურად (ვაქცინით), ისე პასიურად (იმუნოგლობულინით).
- აცრა B ჰეპატიტზე სამჯერადია: 1-2 თვის ინტერვალით კეთდება II აცრა, 5 თვის ინტერვალით III აცრა.
- სწორად და დროულად ჩატარებული ვაქცინაცია დაავადების თავიდან აცილების სრულ გარანტიას იძლევა.

## როდის არის რეკომენდირავალი B ჰეპათიტზე აცრა?

- B ჰეპატიტის ვირუსის მტარებელი დედის ახალშობილი უნდა აიცრას დაბადებისთანავე.
- სხვა ახალშობილთა აცრა B ჰეპატიტზე იწყება 2 თვის ასაკიდან. იგი სავალდებულო აცრების კალენდარში შედის.
- B ჰეპატიტზე აცრა შესაძლებელია ნებისიერ ასაკში.
- გაითვალისწინეთ, B ჰეპატიტის სანინაალმდეგო ვაქცინა უკვე არის საქართველოში, 1 წლამდე ბავშვების აცრა კი უფასოა.




International Promotion Organization "Mercy Corps"  
Approved by Georgia OGASH Hepatology Subcommittee  
Georgia Hepatology Association  
Intercontinental Academy of Medical-Social Sciences (IAMSS)  
Organisation Gestosis Affiliated & Sponsored Hospitals (OGASH)  
[www.mis.ge](http://www.mis.ge)


საქართველოს ჰეპატოლოგთა ასოციაცია  
საერთაშორისო განვითარების ორგანიზაცია  
"Mercy Corps"

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 5

2003



Venus Georgia



## რა უნდა ვიცოდეთ B ჰეპატიტის შესახებ!

- ჰეპატიტი არის ლვიძლის ანთება.
- ყველაზე მეტად გავრცელებულია ვირუსული ჰეპატიტები A, B, C, D.
- B ჰეპატიტი ინფექცური დაავადებაა, რომლის დროსაც უპირატესად ლვიძლი ზიანდება.
- B ჰეპატიტით დაავადებულთა 30-40%-ს არანაირი კლინიკური სიმპტომი არ აღნიშნება, ამიტომ არ მიმართავთ ექიმს; ამ დროს კი შესაძლებელია ინფექცია გადასდონ სხვებს.
- B ჰეპატიტს ახასიათებს როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული მიმდინარეობა. B ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებისას დაავადება ქრონიკულად მიმდინარეობს:  
**0-დან 1 წლამდე - 90-95%-ში**  
**1-და 5 წლამდე - 50%-ში**  
მოზრდილები - 5-10%-ში
- B ჰეპატიტი განსაუთორებით საშიშ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება. B ჰეპატიტის ქრონიკული ფორმის დროს დაავადებულთა დაახლოებით 30% ლვიძლის ციროზით (ლვიძლის უჯრედების გადაგვარება) ან ლვიძლის კიბოთი კვდება.

## როგორ გადაეცემა B ჰეპატიტი?

- B ჰეპატიტი ძირითადად გადაეცემა სისხლით, სქესობრივი კონტაქტით და დედიდან ბავშვზე.
- B ჰეპატიტი 100-ჯერ უფრო გადამდებია ვიდრე შიდსი.

## 306 ავადება B ჰეპატიტით?

- ნებისმიერი ადამიანი ნებისმიერ ასაკში შეიძლება დაავადდეს B ჰეპატიტით, მაგრამ დაავადების გადაცემის გზებიდან გამომდინარე ყველაზე ხშირად ავადდებიან:
- ინტრავენური ნარკომანები (და მათი ცოლები);

- პირები, რომელთაც უტარდებოდათ შეუმოწმებელი სისხლის ან სისხლის კომპონენტების გადასხმა;
- პირები, რომელთაც უტარდებოდათ მანიპულაცია არასტერილური სამედიცინო ინსტრუმენტებით (მაგ: სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური და ა.შ.);
- პირები, რომლებიც იკეთებენ ტატუირებას არასტერილური ინსტრუმენტებით;
- ახალშობილები, რომელთა დედებიც ინფიცირებული არიან B ჰეპატიტის ვირუსით;
- სამედიცინო პერსონალი.

## რა სიმატომები ახასიათებს B ჰეპატიტს?

- ყველა დაავადებას აქვს ინკუბაციური პერიოდი - დრო ინფიცირებიდან დაავადების კლინიკური ნიშნების გამოჩენამდე. ამ დროს ადამიანს არანაირი სიმპტომი არ აქვს, მაგრამ დაავადება შეიძლება სხვას გადასდოს. B ჰეპატიტისთვის ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ 1,5-6-თვეა.
- დაავადების მწვავე პერიოდს ახსიათებს - საერთო სისუსტე, უმაღლება, სახსრების ტკივილი, ცხელება, გულისრევა, ღებინება, დისკომფორტი ან ტკივილი მარჯვენა ფერდექვეშა არეში, მუქი შარდი, თიხის-ფერი განავალი, სიყვითლე.
- გაითვალისწინეთ, დაავადებას ხშირად სიმპტომები არ გააჩნია.
- სიმპტომების არსებობისას აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

## როგორ აღმოვაჩინოთ B ჰეპატიტი?

- დაავადების აღმოსაჩენად საჭიროა სისხლის გამოკვლევა B ჰეპატიტის ვირუსზე.
- B ჰეპატიტით დაავადების მაღალი რისკის მქონე ადამიანებმა (მაგ: ექიმებმა) პერიოდულად უნდა ჩაიტარონ სისხლის გამოკვლევა B ჰეპატიტის ვირუსზე.

## როგორ ვუკურნალოთ B ჰეპატიტს?

- თუ თქვენმა სისხლის ანალიზმა დაადასტურა B ჰეპატიტის ვირუსის არსებობა აუცილებლად მიმართეთ ექიმს.
- მწვავე B ჰეპატიტის მკურნალობა სიმპტომურია.
- ქრონიკული B ჰეპატიტი მკურნალობას ძნელად ექვემდებარება. დღესდღეობით არსებობს ანტივირუსული თერაპია, რომლიც საკმაოდ ხანგრძლივი და ძვირადღირებულია.
- B ჰეპატიტითან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება მისი თავიდან აცილებაა.

## როგორ დავიცვათ თავი

### B ჰეპატიტისგან?

- მისდევთ ცხოვრების ჯანსაღ წესს.
- იყავით თქვენი სქესობრივი პარტნიორის ერთგული.
- უარი თქვით ნარკოტიკებზე.
- დაიცავით პირადი ჰიგიენის წესები, გამოიყენეთ მხოლოდ საკუთარი - საპარსი, კბილის ჯაგრისი, პირსაწმენდი, მაკრატელი, პინცეტი. დაიმახსოვრეთ, დაავადებისთვის საკმარისია სისხლის უმცირესი რაოდენობა.
- სამედიცინო მანიპულაციების საჭიროების შემთხვევაში, ინსტრუმენტები უნდა იყოს ერთჯერადი ან სათანადოდ გასტერილებული.
- კოსმეტოლოგიური მანიპულაციები უნდა იყოს ერთჯერადი ან სათანადოდ გასტერილებული.
- გახსოვდეთ, ინსტრუმენტების მხოლოდ წარატებულად შეუძლებელია.
- სისხლის ან სისხლის კომპონენტების გადასხმის აუცილებლობის შემთხვევაში, დონორის სისხლი შემოწმებული უნდა იყოს B ჰეპატიტის ვირუსზე.
- რაც ყველაზე მთავარია, არსებობს მაღალეფეტური და უსაფრთხო ვაქცინა, რომელიც დაავადებისგან თავის დაცვის სრულ გარანტია იძლევა.